## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/17 „ 7 " მარტი 202 2 წ.

# განკარგულება

### გ. ზვიადაძის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^{4}$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და $4^{1}$ პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 5 აგვისტოს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. გიორგი ზვიადაძე არ იქნეს გამწესებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, დმანისის მუნიციპალიტეტში ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ჭიათურის მუნიციპალიტეტში საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, აბაშის მუნიციპალიტეტში სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლისა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობებზე უვადოდ.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მის.: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე